ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
" შპს ვაინერი" -სა და
თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. თბილისი „07-" აპრილი 2021 წ.

ერთი მხრივ, შპს „ვაინერი" (შემდგომში -„კომპანია"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის დავით დუდაურის და მეორე მხრივ, თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანის - ქ-ნი ნონა გელიტაშვილის სახით, აცნობიერებენ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას და მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, და გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1 წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს „უნივერსიტეტში" „კომპანიის" მიერ მიწოდებული, დასაქმებასთან დაკავშირებული სარეკლამო ბუკლეტების, ვაკანსიების (შემდგომში „ინფორმაცია") განთავსება/გავრცელებასა და „კომპანიის" მიერ დაინტერესებული „უნივერსიტეტის" სტუდენტების დასაქმებას გამოცხადებული კონკურს(ებ)ის წარმატებით გავლის შემთხვევაში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 ,,უნივერსიტეტი":

2.1.1 გამოყოფს 1 წლის ვადით ფართს, „კომპანია"-თან შეთანხმებული დროის კონკრეტული (წინასწარ შერჩეული) მონაკვეთით, სადაც „კომპანიას" შეეძლება დაგეგმოს და ჩაატაროს ერთობლივი ტრენინგები, განათავსოს ვაკანსიები, სარეკლამო ბუკლეტები და ასევე ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.

2.1.2 უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის „კომპანიის" შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ელ-ფოსტის და თავისი საიტის (www.thu.edu.ge) მეშვეობით „კომპანიის" მიერ „უნივერსიტეტისათვის" შესაბამისი ვაკანსიების წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

2.2 ,,კომპანია":

2.2.1 „უნივერსიტეტის" სტუდენტების მიერ შესარჩევი კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ სტაჟირებას და პრაქტიკას (5 სტუდენტი სემესტრში) „კომპანიაში".

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ. თუ თანამშრომლობის პროცესში ასეთი

სახის ურთიერთვალდებულებები წარმოიშობა, ასეთ შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და სხვა პირობები

3.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;

3.2 მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

3.3 მემორანდუმი შეიძლება გაუქმდეს რომელიმე მხარის მხრიდან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდებიდან 1 თვის ვადაში, მემორანდუმის გაუქმების დროისთვის არსებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.

3.4 ცვლილებები მემორანდუმში საჭიროებს მხარეთა თანხმობას და სრულდება წერილობითი ფორმით.

4. მხარეთა რეკვიზიტები

თბილისის „უნივერსიტეტი"
ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო N 206046045
მის.: 0144, თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31
ტელ.: (+995 32) 254 59 08,
(+995 32) 254 59 09, (+995 32) 255 24 24
ფაქსი.: (+995 32) 254 59 09
ელ-ფოსტა: ngelitashvili@thu.edu.ge

.....
(ნ. გელიტაშვილი,
ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის
ფაკულტეტის დეკანი)

„შპს ვაინერი "

საიდენტიფიკაციო N 400293650
მის.: ქ. თბილისი მუხიანი მე4 ბ
ტელ.: 597 94 00 20
ფაქსი.: (+995 32)

.....
(გენერალური დირექტორი)